



2025 წლის ეკონომიკური ზრდის მოლოდინები

2024 წელს საქართველოს ეკონომიკა 9.5%-ით გაიზარდა. ამასთან, წლის ბოლოს ეკონომიკური ზრდის ტემპი 6.7%-მდე შენედა, თუმცა მაინც მაღალი მაჩვენებელია და კოვიდ-პანდემიამდე პერიოდის ისტორიულ ზრდის ტემპებს აღემატება. რაც შეეხება 2025 წლის ეკონომიკური ზრდის დინამიკას, ის დამოკიდებული იქნება ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე. რადგან წინასწარ რთულია განსაზღვრა, თუ როგორ წარიმართება ეს პროცესები, ჩვენ შევიმუშავეთ სამი სცენარი მოვლენების შესაძლო განვითარებასთან დაკავშირებით, რაც გავლენას მოახდენს მაკრო პროგნოზებზე.

ჩვენი 2025 წლის **საბაზისო სცენარით**, სადაც დაშვებაა, რომ არსებული პოლიტიკური ვითარება შენარჩუნდება წლის განმავლობაში:

- აღნიშნულ სცენარში, ჩვენი პროგნოზით საქართველოს ეკონომიკა 5.0%-ით გაიზრდება, რაც ძირითადად მოხმარებით იქნება განპირობებული.
- ლარი/დოლარის საშუალო გაცვლითი კურსი მოსალოდნელია 2.88-ის ფარგლებში.
- საშუალო წლიური ინფლაცია 3.9%-ის დონეზე მოსალოდნელია, რაზეც საბაზო ეფექტთან ერთად გავლენას მოახდებს საერთოშორისო ბაზრებზე სურსათის და ენერჯომატარებლების ფასები და ლარის გაუფასურება. ამასთან, ფასების ზრდის შედეგად, რეფინანსირების განაკვეთი წლის განმავლობაში არსებულ 8.0%-ზე შენარჩუნდება, ჩვენი შეფასებით.
- 2025 წელს ბიუჯეტის დეფიციტი და სახელმწიფო ვალი, ჩვენი პროგნოზით, დარჩება მართვადი – მშპ-ის 3%-ზე და მშპ-ის 40%-ზე ქვემოთ, შესაბამისად.

2025 წლის **პესიმისტურ სცენარში**, მთავარი დაშვებაა პოლიტიკური პოლარიზაციის კიდევ უფრო გაღრმავება:

- აღნიშნული, ჩვენი შეფასებით ინვესტიციების მკვეთრ შემცირებას გამოიწვევს და ეკონომიკური ზრდის ტემპის 2.4%-მდე შენელებაა მოსალოდნელი.
- სუსტი ეკონომიკური ზრდა და პოლიტიკური არასტაბილურობა ლარის კურსზე უარყოფითად აისახება, და შესაბამისად ლარი/დოლარის საშუალო გაცვლითი კურსი ამ სცენარში მოსალოდნელია 3.1-ის ფარგლებში.



- ლარის გაუფასურება ფასებზე ზეწოლას გააღრმავებს, რადგან სამომხმარებლო კალათის 70%-ზე მეტი იმპორტირებული საქონელია. ჩვენი პროგნოზით, საშუალო წლიური ინფლაცია 5.7%-მდე გაიზრდება. მალალი ინფლაციის ფონზე, ეროვნული ბანკი სავარაუდოდ, გაზრდის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 9.5%-მდე.
- ამ სცენარში ბიუჯეტის დეფიციტის მშპ-ის 3%-ზე ქვემოთ შენარჩუნებას ვპროგნოზირებთ, რადგან შესუსტებული ეკონომიკური აქტივობიდან გამომდინარე საგადასახადო შემოსავლების შემცირება, სავარაუდოდ დაბალანსდება ბიუჯეტის გარკვეული ხარჯების (ძირითადად კაპიტალური ხარჯების) შეკვეცით, რათა დაცული იყოს ფისკალური დისციპლინა.

რაც შეეხება 2025 წლის **ოპტიმისტურ სცენარს**, აქ მთავარი დაშვება დასავლეთთან ურთიერთობების გადატვირთვას და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაგრძელებას უკავშირდება:

- ამ სცენარში ვპროგნოზირებთ 7.0%-იან ეკონომიკურ ზრდას, რაც, გაუმჯობესებულ ბიზნეს და სამომხმარებლო განწყობებს უკავშირდება.
- ლარი/დოლარის საშუალო გაცვლითი კურსი მოსალოდნელია 2.78-ის ფარგლებში.
- საშუალო წლიური ინფლაცია მოსალოდნელია 3.1%-ს დონეზე, რაც ეროვნული ბანკს მისცემს შესაძლებლობას შეამციროს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7.75%-მდე.

რაც შეეხება საგარეო ფაქტორებს, რამაც შესაძლოა დადებითი ან უარყოფითი გავლენა მოახდინოს დამატებით საქართველოს ეკონომიკურ ზრდაზე ესენია - უკრაინაში ომის დასრულება, აზერბაიჯანის საზღვრის გახსნა, ტრამპის სატარიფო პოლიტიკის გავლენა საქართველოს სავაჭრო პარტნიორებზე, აშშ-ს ცენტრალური ბანკის განაკვეთების შემცირების დინამიკა, და ა.შ.

სრული კვლევა მოცემულია ინგლისურ ენაზე [აქ](#).



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმე ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტიდან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის ვებულება, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, ირრდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილულა, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგო უკავშირებლობის ან დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაკეთდება რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევეს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევები:
ტელ: +995 32 2401 111 (4298)
საბროკერი: sales@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (4132)
საინვესტიციო-საბანკო მიმართულება: ib@gt.ge
ტელ: +995 32 2401 111 (7457)

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3ა, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge